№ 58 მარტი 17, პარასკევი 1889 მარტი 17, პარასკევი № 58

# ივერია

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## ქართული თეატრი

კვირას, 19 მარტს

არტისტი

კ. დ. ყ ი ფ ი ა ნ ი

გაჰმართავს

სალიტერატურო საღამოს

წარმოდგენილი იქნება

2, 4 და 5 მოქმედება

I

**შ ე შ ლ ი ლ ი ა.**

პიესა 2 მოქმედებად.

ლორდ გარლევიჩის როლს აასრულებს კ. მ ე ს ხ ი.

II

**მ ა ს კ ა რ ა დ ი**

დრამა 5 სურ., თხზ. ლერმონტოვისა.

მოთამაშენნი: ქ-ნნი ავალოვისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, მესხი, გუნია, ცაგარელი, მაქსიმიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

---

ტფილისი, 16 მარტი

საქვეყნოდ დამტკიცდა, რომ აშინოვი, რომელიც სხვათა შორის კავკასიასაც უპირებდა გაბედნიერებას, ერთი დიდი მატყუარა და მაწანწალა ვინმე ყოფილა. ეხლა მთელი რუსეთის მწერლობა დარწმუნდა, რომ აშინოვი რამდენისამე წლის განმავლობაში ატყუებდა და ასულელებდა რუსეთის ზოგს ჟურნალ-გაზეთს და საზოგადოებასაც. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი წლიდგან წლამდე სძარცვავდა საზოგადოებას ზოგიერთ დამსახურებულ და პატივცემულ კაცთა შემწეობით. მოსკოვსა და პეტერბურგში აშინოვს მრავალი ძლიერი და წარჩინებული მომხრე ჰყავდა, რომელთაც თავ-გასული და დაურიდებელი მაწანწალა სხვა-და-სხვა ზღაპარს უამბობდა ხოლმე კავკასიისა და აბისინიის შესახებ და იმისი ნაამბობი ბევრსა სჯეროდა კიდეც. აშინოვს მიწერ-მოწერა ჰქონია ისეთს წარჩინებულ და პატიოსან კაცთანაც-კი, როგორიც იყო გამოჩენილი რუსის მწერალი განსვენებული აქსაკოვი. კატკოვის სახლსა და რედაქციაში ხომ სრულიად შინაური კაცი იყო. ამათა და სხვათა შემწეობით რუსის საზოგადოება, განსაკუთრებით ვაჭრობა, ფულებს აგროვებდა აშინოვისათვის და ეს-კი ამ ფულებით ხან კავკასიაში დაწანწალებდა, ხან რუსეთსა და ევროპაში, ხან აბისინიაში, სანამ ამ ქვეყანაში ფეხი არ მოიტეხა. აქ გამოჩნდა, თუ რა ატამანი და მამულიშვილი ყოფილა ეს კაცი და ვინ არიან ის თავისუფალი უბინადრო „ყაზახ-რუსები", რომელნიც აშინოვის აზრით უნდა დასახლებულიყვნენ კავკასიას, შავის ზღვის განაპირა ადგილებში. რუსის გაზეთებს ამ ჟამად დიდი ლაპარაკი აქვსთ ამ „ყაზახობის" შესახებ. ის გაზეთებიც-კი, რომელნიც აშინოვს ესარჩლებოდნენ, მოგვითხრობენ, რომ ის „თავისუფალი ყაზახები" მართლა რომ ყოველისფრისაგან თავისუფალნი ყოფილან: სინიდისისა და პატიოსნებისაგან, კანონისა და რიგიანობისაგან. ვინ არა ყოფილა აშინოვის „ჯარში": ლოთი, სამსახურიდგან გადამდგარი ჯარისკაცი, უსახელო და უგვარო მაწანწალები დიდის ქალაქებისა, რომელნიც მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდიან სარდაფებიდგან და პოლიციას ემალებიან. აი, ამ გვარი კაცები, რაკი ფეხი ვერ მოიკიდეს კავკასიაში, წავიდნენ აბისინიაში და თან წაიყვანეს სამღვდელო კაცნი რუსის კოლონიის დასაარსებლად და ქრისტიანობის საქადაგებლად. სანამ ამ კეთილს საქმეს შეუდგებოდნენ აშინოვი და იმისი დამქაშები, ყველას, ვინც-კი გზაზე შეხვდებოდათ, აკვირვებდნენ თავიანთის შეუწყნარებელ უოფა-ქცევით, ლოთობითა და სხვა ამ გვარ საქციელით.

ერთი მოსკოველი გაზეთი ლაპარაკობს იმაზე, თუ ვინ უფრო დაატყუა და გაასულელა აშინოვმა, მოსკოველები, თუ პეტერბურგელები. გაზეთის სიტყვით, პეტერბურგელები უფრო უნდა წითლდებოდნენ, რომ აშინოვის ვინაობა დროზე ვერ გამოიცნეს. მოსკოველები-კი თავის დროზე მიუხვდნენ აშინოვს და პირშიაც ეუბნებოდნენ, რომ მატყუარა და მაწანწალა ხარო, მაგრამ ხელს მაინც უმართავდნენ, რადგანაც, მათის აზრით, აშინოვი დიდსა და საყურადღებო საქმეზე ლაპარაკობდაო. ოღონდ ეს დიდებული საქმე შეესრულებინა და ტყუილსა და ბაქიაობას რას დავეძებთო. პირიქით, ეს განუსაზღვრელი ბაქიაობა ბევრს კიდეც მოსწონდაო. ერთის სიტყვით, ოღონდ საქმე გაკეთდეს და მკეთებელი ვინც უნდა იყოსო. ეს კარგი, მაგრამ ის-კი არ უნდა დაევიწყნათ, რომ მაწანწალა, უაზრო და უგულო, თავზედ ხელ-აღებული კაცი საქმის, მკეთებელი-კი არა, წამრყვნელი და დამთრგუნველი იქნება.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** კვირას, 19 მარტს, ქართულს თეატრში ჩვენი არტისტი ბ-ნი კ. ყიფიანი გაჰმართავს სალიტერატურო საღამოს. წარმოდგენილი იქნება „შეშლილია" და „მასკარადი". ბ-ნს კ. ყიფიანს იმდენი სამსახური მიუძღვის ქართულის თეატრის წინაშე, იმდენი სიამოვნება მიუნიჭებია საზოგადოებისათვის თავისის ხელოვნურისა და ნიჭიერის თამაშით, რომ, სრული იმედია, ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ არტისტის კონცერტს.

*** ბ-ნი მიხეილ საბინინი ჰბეჭდავს საზღვარ გარეთ რუსულად «ცხოვრებას წმ. ნინოსას, საქართველოს განმანათლებლისას". წიგნში 26 სურათი იქნება, ბ-ნ ზიჩის მიერ დახატული. აგრეთვე მრავალი სურათი იქნება ძველის დროის ნაშთებისა და ისტორიაში ცნობილ კაცთა.

*** დღეს, 17 მარტს, „ტფილისის სობრანიის" დარბაზში სომხის გამოჩენილი მომღერალი, ბ-ნი შახლამიანცი, გაჰმართავს კონცერტს. ბ-ნი შახლამიანცი უკვე ცნობილია, ვითარცა მშვენიერისა და საუცხოვო ხმის პატრონი. პეტერბურგში საზოგადოება და კონსერვატორიის პროფესორები გაოცებულნი იყვნენ შახლამიანცის ხმითა და სიმღერით. ეხლა ეს მომღერალი აპირებს საზღვარ გარეთ წასვლას თავისის ნიჭისა და ხმის გასაწვრთნელად. სრული იმედია, რომ ტფილისის სა-

---

# ფელეტონი

## ზადიგი

(დასასრული*)

XX

### განდეგილი

ზადიგი გზაზედ შეხვდა ერთს მოხუცს განდეგილს, რომელსაც თეთრი წვერი ქამართანა სცემდა. განდეგილს ხელში წიგნი ეჭირა და დიდის ყურადღებითა კითხულობდა. ყმაწვილი კაცი შედგა და მძიმედ დაუკრა თავი. განდეგილმაც სალამი ისე წყნარად და მართებულად გადაუხადა, რომ ზადიგს მოეწონა და მასთან ბაასის სურვილი აღეძრა. ჰკითხა, რა წიგნია, აგრე თვალ-მოუშორებლივ რომ დასცქერიო.

— ბედის წიგნია, უპასუხა განდეგილმა· გინდა ამოიკითხო რამე?

მოხუცმა ზადიგს გადასცა წიგნი, მაგრამ ყმაწვილმა კაცმა ვერც ერთი ასო ვერ გაარჩია, თუმცა რამდენიმე ენა იცოდა. ამ გარემოებამ უფრო გაუორკეცა ცნობის-მოყვარეობა.

— რადაცით ნაწყენი და გულ-ნატკენი უნდა იყოო, უთხრა მოხუცმა.

— არა, ეგ-კი არა, ვიტანჯები, ვი!

— თუ ნებას მომცემ არ მოგცილდე და თან მიტარებ, არ ინანებ, იქნება გამოგადგე რითიმე: ბევრჯელ მინუგეშებია უბედურნი და სასოწარკვეთილნი.

ზადიგი პატივის-ცემითა და მოწიწებით შესცქეროდა წიგნსა და თეთრს წვერს მოხუცისას. მოხუცი სასიამოვნოდ ჰლაპარაკობდა და ბაასზე ეტყობოდა, რომ ბრძენი კაცი უნდა ყოფილიყო. განდეგილმა მოიხსენია ბედი და მართლ-მსაჯულება, ზნეობა, კეთილის მეფობა, ადამიანის სისუსტე, სათნოება, ბიწი და მანკი ისეთის ცხოველისა და მომხიბლველის სიმჰევრით, რომ ზადიგს გული დაეტყვევა და მოიხიბლა. ყმაწვილმა კაცმა დაბეჯითებითა სთხოვა, რომ ნუ დამტოვებ, ვიდრე ბაბილონში არ დავბრუნდებიო.

— მე თითონ უნდა მეთხოვნა ეგ წყალობაო, უპასუხა მოხუცმა: შემომფიცე ორმუზდი, რომ არ მომშორდები რამდენსამე დღეს მაინც, ვიდრე ცოტაოდენს არ მოვისაქმიანებ.

ზადიგმა შეჰფიცა და ორივენი ერთად გაუდგნენ გზას. საღამო ხანზედ მგზავრნი ერთს მშვენიერს ციხე-დარბაზს მიადგნენ. განდეგილმა ბინა სთხოვა მეკარეს თავისთვისა და თავისის თანამგზავრისთვის. მეკარე ბატონსავით წინ გაუძღვა და ჩააბარა უმთავრესს მსახურს, რომელმაც სტუმრებს ბატონის საუცხოვო საწოლი ოთახები აჩვენა. სტუმრები სუფრის ბოლოში დასვეს და მასპინძელმა არც-კი შეჰხედა, თუმცა-კი ამათაც ისე ზრდილობიანადა და მართებულად ემსახურებოდნენ და ისეთისავე სიუხვით უმასპინძლდებოდნენ, როგორც სხვებს. ხელები ზურმუხტითა და ლალით მოჭედილს თასში დააბანინეს და შემდეგ ცალკე ოთახში დააძინეს. მეორე დღეს, დილა ადრიანად, მოსამსახურემ თითო ოქრო მისცა და დაითხოვა.

— მასპინძელი გულკეთილი და სულმაღალი კაცი უნდა იყოს, თუმცა-კი ცოტა ამაყად გაგვიწია სტუმართ-მოყვარეობაო, სთქვა ყმაწვილმა კაცმა.

ამ დროს ზადიგმა განდეგილს გაბერილი ჯიბე შენიშნა და ჯიბის პირიდგან დაინახა ის ძვირფასის ქვებით მოჭედილი ოქროს თასი, რომელშიაც ხელები დაიბანეს და რომელიც, რაღა თქმა უნდა, მოხუცს მოპარვით უნდა წამოეღო. შუადღე მოახლოვებული იყო, რომ განდეგილი ერთის პაწია სახლის წინ შესდგა. ამ სახლში მდიდარი ძუნწი სცხოვრებდა. მოხუცმა ბინა სთხოვა რამდენისამე საათით. ღარიბად ჩაცმულს მოსამსახურეს სასიამოვნოდ არ დარჩა მგზავრთა სტუმრობა, უკმაყოფილოდ დაუხვდა, განდეგილსა და ზადიგს საჯინიბოში მიუჩინა ბინა და მხოლოდ რამდენიმე დამპალი ქლიავი, დაობებული პური და მჟავე ლუდი მიუტანა. განდეგილი აქაც ისეთის მადითა სჭამდა და სვამდა, როგორც მდიდრის ციხე-დარბაზში. წასვლის დროს მოხუცმა მიჰმართა ხნიერს მოსამსახურეს, რომელიც სტუმრებს თვალყურს ადევნებდა—არა მოიპარონრაო, დილას მოპარული ორი ოქრო მისცა, დიდი მადლობა გადაუხადა და სთხოვა:

— ნება მომეცი, შენს ბატონს მოველაპარაკოო.

გაოცებულმა მსახურმა ორივე მგზავრი ბატონთან მიიყვანა.

— სახელოვანო ბატონო, სთქვა განდეგილმა: უმორჩილესადა გმადლობთ იმ კეთილშობილებისათვის, რა კეთილშობილებითაც თქვენ დამიხვდით. ჩემის მადლობის მცირე წინდად კეთილ-ინებეთ და მიიღეთ ეს ოქროს თასი.

კრიჟანგს სიხარულით კინაღამ გული წაუვიდა, მაგრამ მოხუცმა გონზედ მოსვლის დრო აღარ მისცა და საჩქაროდ გამოვიდა თავისის თანამგზავრითურთ.

— პატივცემულო მამაო, უთხრა გამოსვლისას ზადიგმა: გამაგებინეთ ყველა თქვენ მიერ ჩადენილი საქციელი რას ჰნიშნავს? თქვენ მგონი არაფრითა ჰგევხართ დანარჩენ ადამიანებს. ძვირფასის ქვებით მოჭედილი ოქროს თასი მოჰპარეთ იმ კაცს, რომელიც მშვენივრად გაგვიმასპინძლდათ,—წაიღეთ და კრიჟანგს-კი მიეცით, იმ კრიჟანგს, რომელიც ძალიან ულირსად დაგვიხვდათ,

— ჩემო შვილო, უპასუხა მოხუცმა: ეგ მდიდარი კაცი მხოლოდ გულზვიადობისა და სიამაყის გამო უხვდება სტუმრებს კარგად და დღეიდგან გონებაზედ მოვა; კრიჟანგი-კი უფრო ხელ-გაშლილი შეიქმნება. ნურაფერი გაგიკვირდება და უკან მომყე.

ზადიგი გაოცებული იყო და ვერ გაეგო, ეს კაცი გიჟი და დამთხვეულია, თუ ბრძენთ-უბრძენესიო. ხოლო განდეგილი ისეთის ალტაცებით ლაპარაკობდა, რომ მოხიბლული ზადიგი, ფიციც რომ არა ჰქონოდა მიცემული, ვერ მოჰშორდებოდა, თავს ვერ დაანებებდა.

საღამო ხანზედ მგზავრნი მიადგნენ ერთს ლამაზადა და სადად აგებულს სახლს, რომელსაც გარეგნობით არც კრიჟანგობისა და არც წრეს გადასულის ხელ-გაშლილობის ნიშანი არ ეტყობოდა. ამ სახლის პატრონი ფილოსოფოსი იყო, ქვეყანას განშორებული, მარტოდ დაყუდებული, სიბრძნესა და სათნოებას მისდევდა და არც უმძიმდა ასეთი განმარტოებული ცხოვრება. ამ სახლში მასპინძელი სტუმრებს გულ-გაშლით უხვდებოდა და გულზვიადობა სრულიად არ ეტყობოდა. მგზავრთ თვით სახლის-პატრონი გამოეგება და სანთიანს ოთახში დააბინავა. რამდენსამე ხანს შემდეგ სტუმრები კარგად მომზადებულს ვახშამზედ მიიწვია და ამ ვახშმის დროს იგი თავ-დაჭერით ჰლაპარაკობდა ბაბილონში მომხდარს უკანასკნელს არეულობაზედ. ეტყობოდა გულწრფელად პატივსა სცემდა დედოფალს და სურვილიც განაცხადა, ნეტა ზადიგიც გამოვიდეს ასპარეზზედ და მეფობის დასაკუთრებას ეცადოსო, თუმცა ისიც-კი არის, რომ ბაბილონელნი ღირსნი არ არიან ზადიგისთანა მეფესაო. ზადიგი წამოწითლდა და მწუხარება და ნაღველი გაუორკეცდა. ლაპარაკის დროს იმ დასკვნას დაადგნენ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ბრძენთა სურვილისამებრ არა კეთდებაო. განდეგილი ამტკიცებდა, რომ გზანი განგებისანი მიუწდომელ არიან და ადამიანნი კარგს არა სჩადიან ამ გზათა განსჯითა, როდე-

---

*) იხ. „ივერია" №№ 12, 14, 19, 25, 31, 37, 40, 46 და 50.

ზოგადოება დაესწრება ამ მომღერლის კონცერტზე.

*** როგორც მოგეხსენებათ, წვიმებმა, მიწისა და ქვის ზვავებმა გააფუჭეს კავკავის გზა. ამ გზის შეკეთება კავკასიის გზათა სამართველოს თურმე ხუთი ათას მანეთზე მეტი დაუჯდა. გვერძნელისა და ბელორეჩინის ზვავები ჯერ კიდევ არ გაუწმენდიათ.

*** წინად აქაურის „ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება“ ვაგონებს საზღვარ-გარეთ აკეთებინებდა და ეხლა-კი ვაგონებს ტფილისში აკეთებენ. ჯერ-ჯერობით გაუკეთებიათ ექვსი ახალი ვაგონი. და სამი ამათგანი უკვე დადის.

*** ყვავილი ჯერ კიდევ არ მოსპობილა ტფილისში. ამ თთვის 13-ს ცრთს ტფილისელს მოქალაქეს, მალალოვს, რომელიც ელისაბედის ქუჩაზე სცხოვრებს, წლისა და ნახევრის ბავში მოჰკვდომია ყვავილისაგან. იმავე დღეს ექიმს მრევლოვს წამლებში გაუნიავებია გარდაცვალებულის ტანისამოსი.

*** უკვე მოხსენებული იყო, რომ მეათე განყოფილებაში, ავჭალის ქუჩაზე, იოსებ მოვშოვიჩის სადგომიდგან რამდენსამე ქურდს მოეპარათ სხვა-დასხვა ნივთი, სულ 215 მანეთისა. პოლიციამ ამ საქმის გამოძიება მიანდო თავისს მოხელეს დმუშევსკის. დმუშევსკიმ 13-ს ამ თთვისას შეიპყრო კავკავის ოლქის სოფელ ზარამოკის მცხოვრები, თაძარ ზაციევი, რომელზედაც ეჭვი იყო მიტანილი. ზაციევი ეხლა მეტეხის ციხეშია. აგრეთვე უპოვნიათ ზოგი ნაქურდალი ნივთი. ზაციევთან კიდევ სამი სხვა ქურდიც ყოფილა. დმუშევსკი ეხლა იმათ დაეძებს.

*** ამ უკანასკნელმა ავდრებმა ძალიან გააფუჭა რკინის გზის ლიანდაგი. ნამეტნავად გაფუჭებულა გზა კასპის მახლობლად და ამიტომ რამდენიმე დღეა, რაც საქონლის მატარებელი არ დადის. დიდ-ძალი ხალხი თავისს საქონელს მოელის ქალაქებში და ამიტომ დიდი ზარალიც ეძლევათ.

*** შაბათს, 11 მარტს, დახურულ ბაზრიდგან სიონის ქუჩაზედ მოდენილა იმერეთიდამ ახლად ჩამოსული ვაჭარი, რომელიც ორიოდ დღის წინად ჩამოსულიყო სავაჭროდ. იმისვე გვერდზე მოდენილა ერთი სრულებით უცხო კაცი. გამოსცილდებიან თუ არა სიონს, წამოსწევია ორი ვიღაც კაცი ერთის ჩხუბით, აურზაურითა და ყვირილით. ერთმანეთს ეუბნებოდნენ თურმე: კაცო, რა ღმერთი გაგიწყრა, როგორ დაჰკარგე ის ოხერი პორტმანი, იმის მეტი რაღა გებარაო?! მეორეს უპასუხნია: უთუოდ აი იმ კაცსა აქვს, რომ ჩუმად მიიპარებაო, და სცემიან ჩამოსულ ვაჭრის გვერდზე მიმავალს კაცს, მაგრამ რომ ვერაფერი უპოვნიათ იმის ჯიბეში, თავი დაუნებებიათ და ახლა იმერელ ვაჭარზედ უთქვამთ: უეჭველად იმას უნდა ჰქონდეს, წეღან ეგ მოგვდევდა უკანაო. ვაჭარიც სულითა და გულით მინდობია და გაუსინჯვინებია ჯიბე-უბეები ამ ვიღაც საეჭვო კაცებისათვის თავის გასამართლებლად. მაგრამ იმათ ამაზედაც ასე უთქვამთ, არც ამასა ჰქონიაო, და მოუცხრილავთ, რაც ძალი და ღონე ჰქონიათ. ვაჭარი ბოლოს მოსულა გონს, უნახავს უბე და მტერი დაგრჩეთ ისე ხელ-ცარიელი, როგორც ის საწყალი კაცი დარჩენილა. უბეში პორტმანი აღარ დახვედრია, რომელშიაც ოც-და-ათი თუმანი ფული სდებოდა. დადის ახლა დაძმარებული და იმას-კი არა სჩივის, რომ ფული დავკარგეო, სჩივის მხოლოდ იმას, რომ გამოცდილი ვიყავი, მთელი რუსეთი დამივლია, მოსკოვის „ჟულიკებმა“ ვერა დამაკლეს-რა და აქ ეს საქმე როგორ დამემართაო. ამ საქმის გამოძიება სწარმოებს.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქ. ვარშავში ამ ჟამად ოთხი ქართველი მოსწავლეა. სამი მათგანი უნივერსიტეტშია: ერთი ექიმობას სწავლობს, ერთი იურიდიულს მეცნიერებას და ერთიც—ბუნების მეტყველებას; მეოთხე კი საბეითალო ინსტიტუტშია.

*** ქ. ვარშავა: ვარშავში ძლიერ გავრცელებულია ჩვენებური ღვინოები. ამ ღვინოებს ამ ბოლოს ხანს ისე გაეშალა მოედანი, რომ წინად გამართული ღვინის სარდაფები ბარტყობენ და ახლები ფეხს იკიდებენ. წარსულს წელს ოთხი ახალი სარდაფი შეემატა ვარშავს.

„კახურმა“ რომ ასეთი პატივი და ყურადღება მოიპოვა აქაურს საზოგადოებაში, მადლობელნი უნდა ვიყვნეთ თ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა და თ. ზ. ჯორჯაძისა; ამათ ჩვენ ღვინოს ააცილეს ის სუნი რომელსაც ევროპელთა ცხვირი ვერ იტანს. აქ იმათ თავიანთ წარმომადგენელნი ჰყავთ და ამას გარდა პოლონეთში ოცზე მეტს ქალაქში მოიპოვება იმათი ღვინოები. იყიდება იმათგანვე დანიშნულ ფასად: პირველისა 75 კ.—3 მან. ბოთლი, მეორესი-კი 50 კ.—1 მ. 20 კ. არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის აქ დაბინავებულს თ. ა. ვახვახიშვილს, რომელმაც შემწეობა აღმოუჩინა და ხელი მოუმართა სიღნაღელს სომხებს, აქ მოვაჭრეთა. ესენი იმისის სახელის ღვინოებით ვაჭრობენ. არც სხვა სომხები სხედან გულ-ხელ დაკრეფილნი: გაზეთებით, თუ „პრეისკურანტებით“ იწვევენ ბახუსის თაყვანის-მცემელთ. ზოგიერთების პრეისკურანტი ისეა შედგენილი, თითქო მთელი საქართველო მოუვლია და ფუტკარივით ყველგან თავანკარი ურჩევიაო; რა სახელ-წოდების ღვინო გინდათ, რომ აქ ვერ იპოვოთ: ატენი, წინანდალი, კარდანახი, ყვარელი, თამარი და ნინო-წმინდა.

ზოგი სომხები აბრაშუმეულობითა და ჩვენში ნაკეთებ ვერცხლეულობით ვაჭრობენ. ჩვენში აქედგან უფრო ბევრ საქონელს მიეზიდებიან. ქართველთაგან მომეტებულ ნაწილად უფრო მეგრელები დაიარებიან, რომელნიც კაი თანხას ატრიალებენ და საქმეს „კამისიონერებ:ს“-ურიების შუამავლობით ირიგებენ, რომელთაც ქართული ენა აქვთ შესწავლილი.

◆◆

## სასამართლოს მატიანე

### კნეინა ევგენია ჯორჯაძის საქმე.

(შემდეგი *)

ბილანაშვილის ჩვენება: მე ვიყავი 1885 წელს მწერალი თ. დ. ჯორჯაძისა. ჩემთან ერთად თ. ჯორჯაძეს ცოლიც (დამნაშავე) ხშირად ჰშველოდა წერას. 19 მაისს თ. ჯორჯაძე წავიდა მიწის მზომელ პაიკაძითურთ სოფლებში ნადელის მისაზომად. 23 მაისს მივიღე ფოსტა და ერთს კონვერტზე იყო დაწერილი „ფრიად საზქაროო“. მიტანისთანავე გავხსენი ის პაკეთი. მაშინვე გამოვიდა კნეინა გენო, აილო ის წერილი და რამდენჯერმე წაიკითხა. მერე დადგა და სთქვა: „ძლივს მიაღწია კიკო ჩოლოყაშვილი თავისს სურვილსაო“. ის წერილი იყო გუბერნატორისა, რომლითაც თ. დ. ჯორჯაძეს ითხოვდა მომრიგებელ შუაკაცის თანამდებობიდგან და ურჩევდა ერთის კვირის განმავლობაში დაენებებინა თავი სამსახურისათვის.

კნეინა გაბრუნდა, შეიდა შინ და დაჯდა. შეედი და ენახე ფრიად აღელვებული და გაანჩხლებული. მე ბევრჯელ გამიგონია სახლში უკმაყოფილობა ჩოლოყაშვილზე, რომ იმან მომაყენა ყოველივე შეწუხება და უბედურებაო.

საბედო კიკნაძე. მე ვიყავი მოსამსახურედ მიხეილ შიუკაშვილისას. როცა მიხეილ შიუკაშვილმა მოიყვანა კნეინა გენო, მე გამგზავნეს და ჩამოვუტანე თავის სახლიდგან კაბა. ტალახიანი კაბა-კი აიტანე და მივეცი ჯორჯაძის პატარა მოსამსახურე გოგოს მართას. იმან იცნო ის კაბა და სთქვა, რომ ძიძისააო

თ. დავით შავშავაძე. მე მყავდა მოწვეული ყვარელში სტუმრები, სადაც, სხვათა შორის, იყო კნ. ევგენია ჯორჯაძისაც. გენო გამოვიდა გარეთ შლიაპა-დახურული და საშინლად აღელვებული. როცა ვკითხე, რამ აგაღელვა, აგრე სად მიდიხარ-მეთქი, მან მიპასუხა: „საცა ბიძაჩემია, იქ მე არ დავდგებიო“. მერე შევიტყე, რომ გიორგი ჭავჭავაძეს მიეყენებინა შეურაცხყოფა. გენო გაანჩხლებულიყო, მივარდნოდა, სცემოდა ხანჯალში ამოსაგლეჯად, მაგრამ ამ დროს გაეშველებინათ. საზოგადოდ გენომ ხშირად იცის ძლიერი აღელვება და გაანჩხლება.

თ. ალექსანდრე ჯორჯაძე. ეგენი საზოგადოდ შთამამავლობით არიან ფიცხისა და ანჩხლის ხასიათისანი. მაგის პაპამ თითონ მოიკლა თავი, მაგის მამამაც სიანჩხლით შეაკლა თავი თავის.

*) იხ. „ივერია“ №№ 55, 56 და 57.

---

საც საქმის აფალისა არა იციან-რაო, ჩამოვარდა ლაპარაკი ენების შესახებ.

— ახ, რა საშინელებაა ენება ადამიანისათვის,—წამოიძახა ზადიგმა.

— ენება ქარია, რომელიც გემის აფრას ჰბერავს და გზას უკვალავსო, დაუმატა მოხუცმა: იგი გემს ხშირად დანთქავს ხოლმე, მაგრამ უამქაროდ გემი-კი ვერ დაიძვრის. ნაღველა ხშირად გაარისხებს და ავად შეჰქმნის ხოლმე კაცს, მაგრამ უნაღველოდ-კი ვერავინ იცოცხლებს. ყველა საჭიროა და ამასთან საშიშოც, საფრთხოც.

ახლა სიამოვნებაზედ ასტყდა ბაასი. განდეგილი ამტკიცებდა, რომ სიამოვნება ციური ნიჭიაო. ადამიანიშვილი თავის ნებაზედ ვერც გრძნობას დაეკუთვნება და ვერც რომელსამე აზრს და ჯერ იგი გაჩენილიც არ არის, რომ სიამოვნება და ჯაფა ეწვევა ხოლმეო

ზადიგს უკვირდა, იმდენის სულელურ საქმის ჩამდენი ასე ბრძნულად როგორ უნდა ლაპარაკობდესო და სასრულ სახლის-პატრონმა სტუმრები ისევ თავისს ოთახში მიაცილა და ზეცასა ჰმადლობდა, რომ ასეთი ჭკვიანი და სათნო მგზავრნი მომაყენე კარზედაო. ამას შემდეგ მგზავრებს მართებულად და ზრდილად ფული შეაძლია. განდეგილმა უარი სთქვა და გამოუცხადა, რომ ერთის დღით ადრე მინდა ბაბილონისკენ წავიდე და ამიტომ უნდა დაგტოვოთო. სტუმარ-მასპინძელნი ერთმანეთს მხურვალედ გამოეთხოვნენ. განსაკუთრებით ზადიგი იყო გაოცებული მასპინძლის პატივისცემითა და კეთილის გულით.

როცა განდეგილი და ზადიგი მარტონი დარჩნენ, სამართლიანის ქებით მოიხსენიეს სახლის-პატრონი. განთიადისას მოხუცმა ამხანაგი გამოაღვიძა და უთხრა:

— აბა, გზას უნდა გავუდგეთ. ხოლო ვიდრე წავიდოდე, მინდა ამ კაცს ჩემის პატივისცემისა და სიყვარულის სახსოვარი რამ დავუტოვოო.

სთქვა თუ არა ეს სიტყვები, განდეგილმა ჩირაღი აილო და სახლს ცეცხლი წაუკიდა.

შეშინებულს ზადიგს უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ განდეგილმა რაღაც გრძნეულის ძალით შეაყენა. სახლი ალში იყო გახვეული განდეგილი თავისის თანამგზავრითურთ უკვე კარგა მანძილზედ იყო სახლს გაცილებული და არხეინად შეჰყურებდა ცეცხლს.

— მადლობა ღმერთს! ჩვენის მასპინძლის სახლი ძირით-თხემამდე დაინგრა და ეხლა იგი ბედნიერი კაცი იქმნებაო!—ამბობდა მოხუცი.

ზადიგს უნდოდა მწუხარებით გადაეხარხარა, გაეკიცხა და გაეკილა პატივცემული მამა, ეცემნა და განშორებოდა, მაგრამ არც ერთი არ ჰქმნა, თანდათან განდეგილის საოცარს ძალას ჰნებდებოდა და თავისდა უნებურად ჰმორჩილდებოდა.

მგზავრნი მივიდნენ ერთ გულ-უხვ და სათნო ქვრივ დედაკაცთან, რომელსაც თოთხმეტის წლის ძმის-წული ჰყავდა და ეს ყმაწვილი კაცის თავისს ერთად-ერთ ნუგეშად და იმედად მიაჩნდა. დედაკაცი, რაც-კი შეეძლო, კარგად დაუხვდა სტუმრებს. მეორე დღეს უთხრა თავისს ძმისწულს, რომ მგზავრები ხიდამდე მიაცილე, რადგან ხიდი გაფუჭებულია და ზედ გასასვლელად საფრთხილოაო.

ყმაწვილი კაცი წინ უძღოდა სტუმრებს. როცა ხიდზედ შედგნენ, განდეგილმა უთხრა:

— წინ წადით, მე თქვენს მამიდას მადლობა უნდა გადავუხადო და ამიტომ ცოტა ხანს უკან დავრჩებიო.

ამ სიტყვებს შემდეგ თმაში წაავლო ხელი ზურგით მობრუნებულს ყმაწვილს და მდინარეში გადააგდო. ყმაწვილი წყალმა ოდნავ ზემოდ შეირჩინა და შემდეგ ისევ ჩასძირა.

— ოჰ, საშინელო და უუბედურესო ადამიანო კაცთა შორის! —შესძახა ზადიგმა.

— ფიცი გაქვს მოცემული, რომ მოთმინებით უნდა ალიჭურვო და არა სთქვა-რაო, გააწყვეტინა სიტყვა განდეგილმა: იცოდეთ, რომ ჩვენ მიერ დამწვარის სახლის პატრონმა თავისის სახლის ნანგრევებში აღურიცხველი ქონება და საუნჯე იპოვა. ეს წყალში გადაგდებული ყმაწვილი კაცი-კი ერთის წლის შემდეგ თავისს მამიდას მოჰკლავდა და ორის წლის შემდეგ—თქვენცა.

— ვინ გითხრა მერე, შე ბარბაროსო, და როდის ამოიკითხე ეგ შენს ბედის წიგნში? განა უფლება გქონდათ დაგელუპნა ყმაწვილი, რომელსაც შენთვის არა დაუშავებია-რა.

ამ დროს ბაბილონელმა დაინახა, რომ მოხუცს წვერი აღარა ჰქონდა და სახე გაახალგაზდავებოდა. განდეგილის ტანისამოსი აღარსადა სჩნდა და ოთხი დიდებული ფრთა ამშვენებდა იმისს ბრწყინვალე გვამს.

— ოჰ, ზეცით მოვლინებულო და ღვთაებრივო ანგელოზო!—წამოიძახა ზადიგმა და ხელები გაუწოდა:—ახლა-კი მივხვდი, იმიტომ მოვლენილხარ, რომ სუსტს მომაკვდავს საუკუნო კანონების მორჩილება ასწავოო.

— მომაკვდავთ არა იციან-რაო, უთხრა ანგელოზმა: და ყველაფერზედ-კი უყვართ სჯა და ლაპარაკი.

— მე ჩემსავე თავს არ ვენდობი და ამიტომ გავბედავ და ერთის ეჭვის განმარტებასა გთხოვ: განა არა სჯობდა იმ ყმაწვილის სწორე გზაზედ დაყენება დარჩობას?— ჰკითხა ზადიგმა.

ანგელოზმა ქუხრადმა უპასუხა:

— ის რომ სათნო ყოფილიყო და ეცოცხლა, აი რა ეწერა ბედად: თავისი თავი და თავისი ცოლ-შვილი უნდა დაეხოცა.

— განა უეჭველად კაცის-მკვლელი და უბედური უნდა ყოფილიყო? უბედურება ყოველთვის ხომ კაი კაცებს ეწევა ხოლმე.

—ბოროტნი არიან ყოველთვის უბედურნი, უპასუხა ანგელოზმა: ამ ქვეყნად დაქსაქსულთა და გაბნეულთა მართალთა პაწია წრეს ყოველთვის ბოროტად ექცევიან ისინი და კარგი რომ არ დაბადებულიყო, ბოროტება სულ არ იქნებოდა დედამიწაზედ.

— მარტო კეთილი რომ იყოს და ბოროტი სრულიად არ არსებობდეს?

— მაშინ ეს ქვეყანა სხვა ქვეყნად შეიქმნებოდა, სიბრძნის სხვა კანონისამებრ წარიმართებოდა ყოველივე საქმე და ეს სხვა კანონი იმ მაღალარსის დიდებულს სადგომში იქმნებოდა, რომელსაც ბოროტი ვერც კი მიუახლოვდება. ამ ზეციურმა, მაღალარსმა მილიონობით ქვეყნები შეჰქმნა და ამ ქვეყნებში არც ერთი მეორეს არა ჰგავს. ეს განუსაზღვრელი სიმართლე უტყუარი ნიშანია იმისის საკვირველისა და საოცარის ძლიერებისა. ქვეყნად ორი ფურცელი არ მოიპოვება ხისა, არც ორი მნათობი ცის დაუსრულებელს სივრცეზედ, რომ ჰგავდეს ერთმანეთს, და ყველაფერი, რასაც მაგ პაწია ადგილზედა ჰხედავ, სადაც დაიბადე, თავისს ადგილას უნდა იყოს წინათვე დადგენილს დროს იმის შეუცვლელის კანონისამებრ, ვინც ყველაფრის უფალია და ყველას შემძლებელი. მომაკვდავთ ჰგონიათ, რომ ეს დაღუპული ყმაწვილი შემთხვევით ჩავარდა წყალში, შემთხვევით დაიწვა სახლიო, მაგრამ შემთხვევა ტყუილი ოცნებაა და არა არსებობს. ყოველივე კაცის თავს მოვლენილი ან გამოცდაა, ან სასჯელი, ან ჯილდო და ან გაფრთხილება. მოიგონე ის მებადური, რომელსაც თავისი თავი ყველაზედ უუბედურესს კაცად მიაჩნდა . ორმუზდმა შენ გაგზავნა იმისის ბედის შესაცვლელად. სუსტო მომაკვდაო! თავი დაანება იმის წინააღმდეგობას, ვისაც უნდა აღმერთებდე და ეთაყვანებოდე.

— კარგს ამბობ, მაგრამ...

რაღაცა უნდა ეთქვა ზადიგს... და ველარ დაასრულა. ანგელოზი წავიდა მაღლა და ცისაკენ აემართა. ზადიგი მუხლ-მოყრილი იდგა, ადიდებდა განგებას და მორჩილად იყო

ვისს ნაყმევს და ბიძამ კიდევ ტყეში მოიკლა თავი თოფით ნადირობის დროს.

მისეილ ჯორჯაძე. ევგენი შთამომავლობით არიან ფრიად ანჩხლის ხასიათისანი, პაპამა და ბიძამ მაგისმა თითონ მოიკლა თავი. მამა მაგისიც ნაყმევმა მოკლა და თითონ ევგენიაც საშინელის ანჩხლის ხასიათისა იყო პატარაობიდგანვე.

ჩოლოყაშვილის შემოწმება ექიმ კოლოხოვის მიერ.

24 მაისს 1885 წ.

თ. ნ. ჩოლოყაშვილს ტყვია აქვს მოხვედრილი პაგონში. მარჯვენა მხარს ზევით აქვს ცოტა ნატკენი ერთის აბაზის ოდენა. სხვა დაშავებული არა აქვს რა.

თავმჯდომარე ჰკითხავს ექსპერტს ვოლოხოვს: თქვენ აქა ბრძანდებოდით ყველა მოწმების ჩვენების დროს, იცოდით რისთვისაც იყავით მოწვეული, მოწმებს აძლევდით კითხვებს, რომ გამოგერკვიათ კნეინა ჯორჯაძის სულის მდგომარეობა იმ დროს, როდესაც იმან ჩაიდინა დანაშაულობა. ამისათვის გთხოვთ ახლა თქვენი აზრი წარმოსთქვათ ამ საქმეზედ.

ექსპერტი კოლოხოვი: თუ მივიღებ მხდველობაში მოწმების ჩვენებას, რომ კნეინა ევგენია ჯორჯაძისა იყო ფიცხის ხასიათისა, არ შეეძლო არავითარის წინააღმდეგობის დათმობა, ხშირად ღონდებოდა, სნეული იყო კონსტიტუციონალურის ავადმყოფობით, ორსულად იყო, რომ იმის ქმარს რამდენიმე უბედურობა ეწვია (ექიმმა აქ სამეცნიერო საბუთები მოიხსენია), დარწმუნებით შემიძლიან ვალიარო, რომ დანაშაულობა კნ. ჯორჯაძისას ეფექტურს მდგომარეობაში ჩაუდენია.

პროკურორი. როდესაც კნ. ჯორჯაძისა ტანისამოსს იცვლიდა, იღებდა რევოლვერს და მიდიოდა ჩოლოყაშვილის სახლისაკენ გზა-აურევლად, არ ესროლა რევოლვერი შიკოვსა და მოსამსახურეს, ესმოდა თუ არა გონიერულად ყველა ეს მოქმედება

ექსპერტი კოლოხოვი. არ ესმოდა იგი ისე ჰმოქმედობდა, როგორც ავტომატი.

კითხვა ვექილის დოლგოლენკოსი. თქვენ, ბატონო ექიმო, იცით, რომ სრულიად ჭკუაზე შემცდარნი არიან, დილით დგებიან, პირს იბანენ, ტანთ იცვამენ, სჭამენ, სმენ და სხვანი. ყველა ამ მოქმედებას ასრულებენ ისე, როგორც ჭკუათა-მყოფელნი.

კოლოხოვი. ვიცი, მართალია, სრულიად ჭკუაზე შეშლილი გიჟებიც ასრულებენ ბევრს მოქმედებას, ვითარცა ჭკუათა-მყოფელნი, გონიერნი, მაგრამ სულით ავადმყოფები-კი არიან.

დოლგოლენკო. თქვენგან აწერილ სულით ავადმყოფებმა დანაშაულობა რომ ჩაიდინონ, კანონით გადაეხდევინებათ, თუ არა.

კოლოხოვი. დანაშაულობას ამისთანა გიჟებს კანონი არ აზღვევინებს.

იგივე ჰკითხა თავმჯდომარემ ექსპერტს ზელნიცკისა და ზელნიცკიმ იგივე პასუხი უგო, რაც ვოლოხოვმა.

პროკურორმა იგივე კითხვა მისცა ექსპერტ ზელნიცკის.

ზელნიცკიმ სთქვა: სრულიად ჭკუაზე შეშლილი განიზრახავს თავის ჩამოჩრჩობას, არჩევს თოკებში უფრო მაგარს, გადებულ ძელებში უფრო საიმედოს, იდგამს სტოლს, სკამს და არა სერთუკს, ქუდს, ყელიან წაღას, მაგრამ არც ერთი ეს მიზან-მისაღწევი მოქმედება არ ამტკიცებს იმის ჭკუათა-მყოფელობას. მიზან-მისაღწევს მოქმედებას ჭკუაზე შეშლილი ბევრჯელ ასრულებს, მაგრამ გრძნობით-კი ვერა ჰგრძნობს. აგრეთვე მოქმედებანი კნეინა ევგენიასი ჯორჯაძისა არ არიან მისგან გონიერულად ნაგრძნობი და გონების თვალში გატარებული.

პროკურორმა გაუმეორა იგივე კითხვა ზელნიცკის. ზელნიცკიმ სთქვა: აღარ მინდა გავიმეორო ერთხელ უკვე ნათქვამიო. პროკურორმა იგივე ჰკითხა ვოლოხოვს. ვოლოხოვმა სთქვა: შესაძლოა ძალიან ცოტა ეგრძნოს კნ. ჯორჯაძისას თავისი მოქმედებაო.

დოლგოლენკომ იგივე ჰკითხა ზელნიცკის, რაც ვოლოხოვმა. ზელნიცკიმ იგივე პასუხი მისცა, რაც ვოლოხოვმა, ხოლო დასაბუთებულის მაგალითებით-კი.

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

ინგლისი. ირლანდიას დღეს არა, ხვალ აუსრულდება თავისი დიდის ხნის ნატვრა; დღეს არა, ხვალ ეღირსება ამ ტანჯულს ქვეყანას თვით-მმართველობა, ესრედ-წოდებული ჰომრული. დღემდე დაჩაგრული, დამოკიდებული, თვით-მმართველობის უფლებას მოკლებული, ხვალ-ზეგ თვით-მმართველ, თითქმის დამოუკიდებელ ქვეყნად გადიქცევა, ამოისუნთქებს თავისუფლად და იგრძნობს იმ უმაღლესს ნეტარებას, რომელიც მოსდევს დიდის ხნის სურვილის შესრულებას, დიდის ხნის საწადელის განხორციელებას. ირლანდიის მოღვაწენი და მამულიშვილნი ჰგრძნობენ და დარწმუნებულნიც არიან, რომ იმათის სამშობლოს ბედნიერება სადღე-ხვალიო საქმედ-ღაა გამხდარი და რომ თავისის თვალით იხილვენ, თვით მოესწრობიან იმ ქვეყნის სიხარულს, რომლისათვისაც ისეთის მხნეობით, ისეთის თავ-განწირვით მუშაკობდნენ და იღვწოდნენ. დღეს ირლანდიელ მამულიშვილების მოთავე პარნელია და მთელი ინგლისი. მას უკან, რაც ამ კაცმა ისეთის ამბით დასძლია გაზეთი „ტაიმსი“ და სახელი გაუტეხა კონსერვატორების სამინისტროს, თითქმის მთელი ინგლისი ქება-დიდების ტაშს უკრავს პარნელს, თანაუგრძნობს ირლანდიას და თხოულობს, რომ მთავრობამ მიანიჭოს ამ ქვეყანას საკუთარი პარლამენტი, საკუთარი თვით-მმართველობა. ისინიც-კი, ვინც აქამდე არ თანაუგრძნობდნენ ირლანდიის სურვილს ინგლისში, დღეს დიდად მოწადინებულნი არიან, რომ ირლანდიას მიეცეს ჰომრული და ამითი ბოლო მოეღოს ამ ქვეყნის დიდის ხნის დაჩაგრულობასა და დამოკიდებულს ყოფას. პარნელისა და „ტაიმსის“ დავით სახელ-გატეხილი სამინისტრო ძლივს-ღა იმაგრებს თავს და საცაა დაეცემა, რომ თავისი ალაგი დაუთმოს გლადსტონს, ამ დიდს მოკეთეს ირლანდიისას და დიდებულს მომხრეს ერთა თავისუფლებისას. გლადსტონის გამთავარმინისტრებას-კი აუცილებლად მოჰყვება ირლანდიის საქმის გადაწყვეტა და ირლანდიის ერის ბედნიერება.

საფრანგეთი. ამ ახლო ხანში მეტად უსიამოვნო ლაპარაკი ჩამოვარდა პალატაში ლაგერსა და კონსტანს შუა. კონსტანი საშინაო საქმეთა მინისტრია ახალს სამინსნიტროში. ამ კონსტანის წარსულს ცხოვრებას დაუწყო ჩხრეკა ლაგერმა და სცდილობდა საბუთებით დაემტკიცებინა, რომ ვითომ მაგან სამარცხვინო საქმეები ჩაიდინა და დღეს-კი მინისტრადა ბრძანდებაო. მაგან მიიღო 10,000 ფრანკი და 31,000 ფრანკის აქციები ვიღაც ბარათისაგან, რომელიც მაშინ ცეცხლისაგან ზღვევის საზოგადოებას აარსებდა და, რაკი სახელიანი კაცი უნდოდა დირექტორად, კონსტანს მიჰმართაო. კონსტანი მაშინ დეპუტატად იყოვო. მოუსვენარმა ლაგერმა წაიკითხა ამ საქმის შესახები მიწერ-მოწერა ბარათსა და კონსტანს შუა. ბოლოს საზოგადოება ვერ დაარსდა და კონსტანმა უკანვე დაუბრუნა მიღებული ფული ბარათსაო.

— შენ რომ ყოფილიყავი იმის მაგიერ, ხომ აღარ დაუბრუნებდი იმ ფულსაო, დაუძახა ვიღამაც ლაგერს.

— მე მაგისთანა საქმეებში ჩემს დღეში მონაწილეობა არ მიმიღია.

— ბულანჟელების საზოგადოება საკომერციო საზოგადოებაა, მაშ რა არიო?

ლაგერმა კვლავ განაგრძო:

—როცა კონსტანს მიანდეს კაბინეტის შედგენა, ფლოკე და ტარჟე ახლო არ მიეკარნენ მაგ კაცს. ფლოკემა და ტარჟემ უარ-ჰყვეს ეს გარემოება, მაგრამ ლაგერმა მაინც განაგრძო კვლავ: იმავ დღეს კლემანსომა სთქვა, რომ კონსტანი ერთად-ერთი კაცია, რომელსაც სამსახურიდამ გამოსვლის შემდეგ დიდი ქონება და შეძლება აღმოაჩნდაო (პალატა საშინლად აღელდა). კონსტანი ერთად-ერთი ნამინისტრალია რესპუბლიკისა, გამდიდრებული სამსახურითაო. რას გვემართლებით, რომ რესპუბლიკის მაღალ თაროზე მაგისთანა კაცი დაგვისვითო. ნუ თუ ღირსნი ვართ ასე სამარცხვინოდ მასხარად აგდებისაო?! პალატა უარესად აღელდა. ზოგი ტაშს უკრავდა, ზოგნი ცხარობდნენ და იმუქრებოდნენ. მაგრამ დიდი ალიაქოთი მაშინ ასტყდა უფრო, როცა ლაგერმა სთქვა, რომ პალატა ადგა და მატყუარა მინისტრს-კი მიჰმართაო. ამ დროს მთელი პა-

---

თავ-ჩახრილი. უკვე თვალთაგან მიფარებულმა ანგელოზმა ზემოდგან ჩამოსძახა:

— ბაბილონისკენ გაეშურე!

## XXI

## გამოცანები

ზადიგი უგრძნობლად მიდიოდა წინ, თითქოს ქუხილით გამოყრუებული და გამორეტიანებული იყოსო. იგი ბაბილონში სწორედ მაშინ მივიდა, როცა ასპარეზად გამოსულნი სასახლის ტალანში იყვნენ თავ-მოყრილნი, რათა ქურუმთ-მთავრის მიერ ნათქვამი გამოცანები აეხსნათ. ყველა რაინდი იქ იყო, მწვანე-საჭურვლიანს გარდა. ზადიგი დაინახეს თუ არა, ხალხი შემოეხვია: თვალები მისის ცქერით ვერა ძღებოდნენ, ბაგენი ჰლოცავდნენ და გული იმის მეფედ ყოფნას ისურვებდა. შურიანმაც დაინახა, აცახცახდა და ზურგი მიაქცია. ხალხმა ყმაწვილი კაცი ხელით მიიტანა ყრილობამდე. დედოფალი, რა გაიგო იმისი მისვლა, შიშმა და იმედმა აალელვა, მოუთმენლად იყო და ვერა გაეგორა, ზადიგი უსაჭურვლოდ რად არის და იმისი იარაღი იტობადს როგორ ჩაუვარდა ხელშიო. იმისმა დანახვამ დიდი ლაპარაკი ასტეხა, აღტაცებულნი და გაოცებულნი იყვნენ იმის იქ მისვლით, ხოლო მონაწილეობის მიღება გამოცანათა ახსნაში მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვისაც ასპარეზზედ ებრძოლნა.

— მეც სხვებსავით ვიბრძოლე, მაგრამ ჩემს საჭურველს სხვანი ატარებენ. ვიდრე იმედს გავიმართლებდე და დავიბრუნებდე, ნება მომეცით მეც გავერიო თქვენს ჯიბრშიო, სთქვა ზადიგმა.

ხალხი აყაყანდა, ზოგი წინააღმდეგი იყო ყმაწვილის კაცისა, ზოგი ემხრობოდა. იმისი პატიოსნება ჯერ კიდევ არა ჰქონდათ დავიწყებული, დიდს თაყვანსა სცემდნენ და ამიტომ ნება მისცეს ჯიბრში მონაწილეობის მიღებისა.

ქურუმთ-მთავარმა უპირველესად ყოვლისა იკითხა:

— რა არის ამ ქვეყნად ყველაზედ გრძელი და მოკლე, ჩქარი და ნელი, იაფი და ძვირფასი; რა არის ისეთი, უმისოდ არა გაკეთებულა-რა, რომელიც ყოველსავე მცირეს შთანთქავს და დიდებულს-კი სიცოცხლეს აძლევს.

პირველად იტობადს უნდა ელაპარაკნა. ამ ცრუ-გმირმა სთქვა, რომ ჩემისთანა კაცმა გამოცანებისა არა იცის-რა და ვგონებ ჩემის მხრით ისიც საკმარისი უნდა იყოს, რომ ბრძოლაში გავიმარჯვეო. ზოგიერთნი ამბობდნენ, რომ ეგ გამოცანა ბედი უნდა იყოს, მეორენი—დედამიწაო, მესამენი—სინათლეო.

ზადიგმა სთქვა:

— დროა, იმაზედ უგრძესი არა იქნება-რა, იმიტომ-რომ იგია საწყაო საუკუნოებისა; მოკლეა, რადგან ჩვენთა აზრთა და განზრახვათა აღსრულებას არა ჰკმარის. დრო მომლოდინეს ნელ-წარმავალი ჰგონია, მოსიამოვნესა და მოქეიფეს—ჩქარ-სწრაფი; იგია დიდებული და მცირეც; უიმისოდ არა კეთდება-რა; შთამომავლობას იგი ავიწყებს უღირსსა და არა-საკადრისს და იგივე ჰქმნის საუკუნო სახსოვრად ჩვენთა წინაპართა საქმეთ.

კრებამ გადასწყვიტა, რომ ზადიგი მართალიაო.

ქურუმთ-მთავარმა კვლავ იკითხა:

— რა არის ისეთი, რომლისათვისაც არავის ვმადლობთ, რომლითაც ვსტკბებით და არ ვიცით-კი როგორ, სხვას მივანიჭებთ და არ ვიცით-კი სად არის, ვკარგავთ და ვერ შევნიშნავთ ხოლმე?

ზადიგმა ესეც გამოიცნო და სთქვა, რომ სიცოცხლეაო. ყმაწვილმა კაცმა ასეთისავე სიადვილით ახსნა დანარჩენი გამოცანებიც.

იტობადი ამბობდა, რომ მაგ გამოცანების ახსნისთანა ადვილი არაფერია და მეც ადვილად გავიმარჯვებდი, ჩემის თავისთვის რომ ძალა დამეტანებინა და მომენდომებინაო. რაინდთ ზოგიერთი რამ ჰკითხეს მართლ-მსაჯულებასა, კარგს მმართველსა და მეფობის უნარის შესახებ და ზადიგის პასუხი ყველაზედ გონიერად იცნეს.

— დიდად ვწუხვართ, რომ თქვენისთანა ჭკვიანმა კაცმა ასპარეზზედ ჭკუის შესაფერი მამაცობა ვერ გამოიჩინაო, უთხრეს ყმაწვილ კაცს.

— პატივცემულო და სახელოვანო მსაჯულნო, მიუბრუნად ზადიგი: ასპარეზზედაც მე გავიმარჯვე და თეთრი საჭურველი მეცვა. იტობადი ძილის დროს შემომეპარა და მომპარა. იქნება ის ეგონა მაგ უბედურს, რომ მოპარული მწვანე საჭურველზედ უკეთ მემსახურებაო. მზადა ვარ ეხლა ასევე ჩაცმულმა დავუმტკიცო მთელის კრების წინაშე, რომ მე დავამარცხე მამაცი ოტამი და არა მაგან.

იტობადი ამ სიტყვებს არ შეუშინდა და ბრძოლაზედ დასთანხმდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჩემის იარაღით, ზუჩითა და აბჯრით ადვილად დავამარცხებ სადად და შინაურულად ჩაცმულს მებრძოლსაო.

ზადიგმა ხმალი ამოიღო და თავი დაუკრა დედოფალს, რომელიც შიშითა და სიხარულით შესცქეროდა ყმაწვილ კაცს. იტობადმაც ალახვნა მახვილი თვისი და თავი-კი არავისთვის დაუკრავს. იგი ზადიგისკენ უშიშრად მიდიოდა და მზად იყო თავი წაეგდებინებინა. ყმაწვილმა კაცმა მოქნეული მახვილი აიცდინა და ისე მარჯვედ დაუჭირა თავისი, რომ იტობადს ხმალი გადაემტვრია. შემდეგ ზადიგმა წაავლო ხელი თავისს მებრძოლს, მიწაზედ დასცა, დააჭირა ხმლის წვერი და უთხრა:

— იარაღი შენის ნებითვე შემომახსნევინე, თორემ მოგკლავო.

იტობადი დაჰნებდა, ზადიგმა საჭურველი გაჰხადა, თვით ჩაიცვა და ასე მორთულმა დაიჩოქა ასტარტას წინაშე. გახარებულმა კადორმა გამოაცხადა, რომ ეგ საჭურველი ზადიგისა იყოვო. იგი აღიარეს მეფედ ასტარტას სასიხარულოდ, რომელსაც, იმდენ უბედურებათა შემდეგ, ბედნიერება ეღირსა და თავისს სატრფოს ქვეყნის წინაშე თავისი ქმარი უწოდა. იტობადმა ზადიგი თავისს სახლში მიიპატიჟა. ყმაწვილი კაცი მეფე იყო და ამასთან ბედნიერიც. მოაგონდა კიდეც ანგელოზის ქეზრადის სიტყვები და აგრეთვე ის ქვიშის მარცვალი, რომელიც ალმასად გადაიქცა.

მეფე-დედოფალი განგებას მადლობასა სწირავდნენ ამისთანა ბედნიერებისათვის. ზადიგმა აპოვნინა არბოგადი, თავისს ჯარში კარგი ადგილი მისცა, დაწინაურებასა და დაჯილდოვებას დაჰპირდა, თუ რიგიანად მოიქცეოდა; კვლავ ავაზაკობისათვის-კი დარჩობა არ უნდა ასცდენოდა. სეტოკი მშვენიერ ალმონათურთ დაბარებულ იქმნა არაბეთიდგან და ბაბილონელ ვაჭართა უფროსობა ებოძა. კადორი ღირსეულად დააჯილდოვეს და ჯეროვანი მადლობა გადაუხადეს. იგი შეიქმნა მეფის მეგობრად და ზადიგი მაშინ ერთად-ერთი მეფე იყო, რომელსაც მეგობარი ჰყავდა. რაღა თქმა უნდა, არც პაწია მუნჯი დაივიწყეს. მებადურს მშვენიერი სახლი აჩუქეს და ორკანს მიუსაჯეს, რომ დიდ-ძალი ფული უნდა გადუხადო ჯარიმად და ცოლიც დაუბრუნოო, ხოლო მებადურმა იმდენი ჭკუა იხმარა, რომ მხოლოდ ფული გამოართვა და ცოლისთვის-კი არც-კი მიუხედნია. მშვენიერი სემირა ველარა ჰნუგეშობდა იმ გარემოებით, რომ შეიძლება ზადიგი ცალ-თვალა ყოფილიყოვო. სასტიკი აზორა, რომელსაც ზადიგისათვის ცხვირი უნდოდა მოეჭრა, განუწყვეტლადა სტიროდა თავისს უბედურებას. ზადიგმა ორივე საჩუქრებით ანუგეშა. შურიანი სიბრაზისა და სირცხვილისაგან გარდაიცვალა. მთელი სახელმწიფო მშვიდობიანობითა, სახელითა და სიმდიდრით სტკბებოდა. ამ ქვეყნად უუმშვენიერესი საუკუნე დადგა; სახელმწიფოს მართლ-მსაჯულებითა და სიყვარულით ჰმართავდნენ. ერი, ქვეყანა ზადიგსა ჰლოცავდა და ზადიგი—ზეცას.

[illegible]

ლატა, მემარჯვენეთა გარდა, ფეხზე წამოდგა და დეპუტატები საშინელის ყვირილით მისცვივდნენ ტრიბუნას. პალატის პრეზიდენტმა მოსთხოვა ლაგერს, რომ უკან წაიღე ეგ საწყენი სიტყვაო. ლაგერმა არა ჰქნა. პალატამ გადასწყვიტა, საყვედური გამოეცხადოსო. ლაგერმა მაინც დაათავა თავისი სიტყვა: მე მოვიყვანე საბუთები, გიამბეთ ის, რაც კარგად გვაჩვენებს, რა კაციც არის მინისტრად მყოფი. მეცა და ჩემი მეგობრებიც კვლავ ვეცდებით, რომ გავწმინდოთ მაგისთანა მავნებელის კაცებისაგან რესპუბლიკა. დეე, მაგათ გვდევნონ საპოლიტიკო დანაშაულობისათვის, ხოლო ჩვენ-კი მუდამ იმას ვიტყვით, რომ ის დეპუტატები, რომელთაც სავაჭრო საქონლად გადაუქცევიათ ნდობა ქვეყნისა და თავიანთი სახელი, ციხეში უნდა იყვნენ და არა აქაო. ახლა ამაზე ასტყდა საშინელი ამბავი. ბოლოს, როცა პალატა დაწყნარდა, კონსტანმა იმართლა თავი და უამბო პალატას როგორც იყო საქმე, ლაგერისაგან სულ სხვაფრივ მოთხრობილი. მე მაგათი მომხრე არ გავხდი და იმიტომ დამიწყეს დევნაო. მაგათაგან საქმე მქონდა გაპირებული, მთხოვდნენ ბულანჟეს მომხრე გამხდარიყავიო, მაგრამ მე უარი ვუთხარი: არას დროს ბულანჟეს მომხრე არ შევიქნები-მეთქი. ეგ რომ ცოდვად მითვლის, სამსახურში ქონება შეიძინაო, რატომ იმას არა ჰფიქრობს, რომ მაგას ჯერ ქონება არ შეუძენია და ისე-კი სცხოვრობს, თითქოს დიდის ქონების პატრონიაო. საიდამ და რა წყაროთი სცხოვრობს აგრე? მე ვიცი, მაგათ რაც სწადიანთ, მაგრამ ვერ გადამახვევინებენ იმ გზას, რომელსაც ერთხელ და ერთხელ დაევადექი. ვიბრძოლებ მუდამ მაგათთან და დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკა გაიმარჯვებს, ხოლო ეგენი დამარცხდებიან...

## წვრილი ამბები

წარსულს გაზაფხულზედ გრენადაში ლიტერატურის მატიანისათვის იშვიათი ამბავი მოსდება—დიდის ამბით დაგვირგვინებენ ისპანიის გამოჩენილს პოეტს იოსებ ზორილლს. გრენადის უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა ეს დაგვირგვინება, დედოფალმა ნება დართო და დაჰპირდა კიდეც, რომ მეც დავესწრები მაგ დღესასწაულზედაო. პოეტისათვის ხალას ოქროს გვირგვინია შეკვეთილი. ეს გვირგვინი მოჭედილი იქნება რამდენისამე ძვირფასის თვალით, რომელთ შორის უველაზედ დიდს დედოფალი უძღვნის. ეს დედოფლის მიერ ნაძღვნობი ქვა მეფე ალფონსის ბეჭდიდგან არის ამოღებული. ამ უკანასკნელს წლებში ზორილლი მეორე პოეტია, რომელსაც დაგვირგვინება ეღირსება. პირველი ტენნისონი იყო.

— ნიშნად გლადსტონის პატივისცემისა ამერიკას, მიჩიგანის შტატში, ამ ერთის წლის წინად დაუარსებიათ ქალაქი, რომელსაც ზემოხსენებულ გამოჩენილის კაცის სახელივე ეწოდება. თუმცა სულ ერთი წლისაღაა ამ ქალაქის დაარსება და მცხოვრებლებიც ჯერ ცოტანი არიან (სულ 2,000 ოჯახი), ქალაქი გლადსტონი მაინც განათებულია ელექტრონით, გარდი-გარდმო გადახერხილის ხის კუნძებით დაგებული ქუჩები აქვს, ცეცხლის საქრობი რაზმი, ხუთი ეკკლესია, სამი სასწავლებელი, ორი ბანკი, ექსი ფაბრიკა და, ამას გარდა, ერთი ყოველ დღიური გაზეთიც გამოდის. ერთის სიტყვით, ეს ქალაქი ამერიკულის სისწრაფით იზრდება და ჰმატულობს.

— ს.-ლუიში (შეერთებულს შტატებშია) თავისებური ყაჩი გამოჩენილა. ეს კაცი დიდი ლხინის და გართობის მომდევარია თურმე და შემდეგი გასართობი აიჩინა: ქუჩაში ყმაწვილს ქალს დაიჭერს ხოლმე ეს ახირებული კაცი და მანამდე ჰკოცნის, სანამ გრძნობა-მიხდილი არ დაეცემა. დაეცემა თუ არა ქალი, ჯიბეში ხელს ჩაიყოფს და გაჰქურდავს. ერთი მსხვერპლი ამ გართობისა ავად გამხდარა და მესამე დღეს გარდაცვლილა.

— სასაცილო ამბავი მომხდარა ამ ორის კვირის წინად „Gaiet-Concert-Hall“-ის თეატრში, ბირმინგამს. წარმოუდგენიათ რაღაც პიესა, რომელშიაც ვიღაცა ქუჩის მაწანწალა ჰკლავს მატროსს ის იყო დაეცა თუ არა ვითომდა მოკლული მატროსი, ქანდარიდგან მოისმა თურმე საშინელი ღრიალი, ვიღაც მატროსი გაექანა სცენისაკენ, დაიყვირა: „უველა ოხერს მე ნებას არ მივცემ, რომ ჩემი ამხანაგი მოჰკლასო“ და დაუწყო ცემა დამფრთხალს არტისტებს. ისე გამძვინვარებული იყო თურმე მატროსი, რომ პოლიციის მოხელეთაც ვერ დაიკავეს და ღონე უნდა ეხმარათ იმის დასამშვიდებლად. დამსწრე საზოგადოებას პირველში დაიბნა ასეთის უეცარის ამბის გამო, ხოლო შემდეგ მიუხვდა, დამშვიდდა და არხეინად შესცქეროდა თურმე ახირებულს სცენას არტისტთა ტყეპისას.

— ლამპრის შუშის სიმაგრისათვის აი რა საშუალება აღმოუჩენიათ: ლამპრის შუშა რომ ადვილად არა სკდებოდეს, უნდა ნელ-თბილს ოთახის წყალში ჩასდოთ და ეს წყალი ნელ-ნელა გაახცხელოთ, ვიდრე ადუღდებოდეს. როცა წყალი კარგად წამოდუღდება, უნდა ნელ-ნელა გააციოთ და შუშა ამოიღოთ. ეს უბრალო საშუალება კმარა, რომ შუშას სიმაგრე მიეცეს და ადვილად არა სკდებოდეს.

— ერთს უსაქმო ინგლისელს გამოუანგარიშნია, თუ რა ხნის ქალები უფრო ადვილად თხოვდებიან. აი ეს ანგარიში: ყმაწვილი ქალებში, გაუთხოვრებში, 15—20 წლისა ასში 14 თხოვდება, 20—25 წ.—52, 25—30 წ.—18, 30—35 წ.—15, 35—40 წ.—3¾, 40—45 წ.—2½, 45—50 წ.—⅜, 50—56 წ.—¼. 56 წლს შემდეგ ქალმა-კი ყოველივე იმედი უნდა დაჰკარგოს გათხოვებისა.

**პეტერბურგის ბირჟა, 14 მარტი**

| | მყიდველ-ნი. | გამყიდვე-ლისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 43 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 273¼ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 245 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

**17** დღე პარასკევი. ღირსისა მამისა ალექსისა, ღვთის კაცისა. კათოლ. წმ. ბოლესლავისა. მაჰმად. მე-27 რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23. მთვარე 28 დღისაა.

**18** დღე შაბათი. წმ. კირილესი. კათოლ. წმ. იუსტასი. მაჰმად. მე-28 რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24. მთვარე 29 დღისაა.

**19** დღე კვირა. წმ. მოწ. ხვირისანთე და დარიასი. კათოლ. წმ. იაკობისა. მაჰმად. მე-29 რიცხვი თვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—25. მთვარე 30 დღისაა.

**20** დღე ორშაბათი. ღირსთა მამათა, რომელნი მოისრნენ ლავრასა შინა წმ. საბასა. კათოლ. წმ. ვიკონტისა. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—26. საღამოს 2 საათსა და 32 წუთზედ დაბადება მთვარისა.

## ვაჭრისადმი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თითონი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (უველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის საზოგადოებაში და გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში:
სამის თავს გადასავალი
მოთხრობა
ანტონ ფურცელაძისა.
გამოცემა
ზ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 25 კაპ.

4711
О-ДЕ-КОЛОНЪ

ყველაზედ საუკეთესო ღირსებისაა.

მსურველს შეუძლიან იყიდოს რუსეთის ყველა დიდ საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში. (3—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ კვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკული ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


Дoз. ценз. Тифлисъ 16-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т.-Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე